პრეზიდენტი თომას ს. მონსონის მიერ



პრეზიდენტი მონსონი მოგვიწოდებს გამბედაობისკენ

როგორც პრეზიდენტი თომას ს. მონსონი აღნიშნავს, არ გავა ერთი საათიც კი ისე, რომ არ მოგვიწიოს ამა თუ იმ არჩევანის გაკეთება.

ბრძნული არჩევანის გასაკეთებლად, - აღნიშნა მან, ჩვენ გვჭირდება გამბედაობა. "გამბედაობა ვთქვათ "არა" და გამბედაობა ვთქვათ "კი". გადაწყვეტილებები კი განსაზღვრავს ბედს".[1]

ქვემოთ მოცემულ ნაწყვეტებში პრეზიდენტი მონსონი ახსენებს უკანასკნელ დღეთა წმინდანებს, რომ მათ მართებთ სიმამაცე იმისთვის, რომ დადგნენ სიმართლისა და სამართლიანობის მხარეს, დაიცვან საკუთარი მრწამსი და წინ აღუდგნენ სამყაროს, რომელიც უარყოფს მარადიულ ფასეულობებსა და პრინციპებს.

"მოწოდება გამბედაობისკენ გამუდმებით მოდის ყოველ ადამიანამდე", - თქვა მან. " აქამდე ეს ასე იყო და ასე იქნება მარადის".[2]

გამბედაობას ღმერთი იწონებს

"ჩვენ ყველანი შიშის პირისპირ აღმოვჩნდებით, გამოვცდით დაცინვას და შევხვდებით წინააღმდეგობას. მოდით ყველამ ვიქონიოთ გამბედაობა დავიცვათ ერთობლივი თანხმობა, გამბედაობა – დავიცვათ პრინციპი. გამბედაობა და არა კომპრომისი იწვევს ღმერთის სახეზე ღიმილს. გამბედაობა გადაიქცევა ცოცხალ, სასურველ ღირსებად, როცა მას აღიქვამენ არა როგორც ვაჟკაცურად სიკვდილის მიღებას, არამედ როგორც გადაწყვეტილებას – იცხოვრო პატიოსანი ცხოვრებით. როცა წინ მივდივართ და ვცდილობთ ვიცხოვროთ ისე, როგორც უნდა ვცხოვრობდეთ, ჩვენ რა თქმა უნდა მივიღებთ დახმარებას უფლისგან და ვიპოვით მის სიტყვებში ნუგეშს".[3]

გაბედულად შებრძოლება

"რას ნიშნავს ბოლომდე გაძლება? მე მომწონს ეს განმარტება: *გაბედულად შებრძოლება.* გამბედაობა შესაძლებელია იყოს აუცილებელი თქვენი რწმენისთვის; ზოგჯერ ის აუცილებელია მორჩილების დროს. ყველაზე აშკარად ის საჭირო იქნება მაშინ, როცა გაძლებთ ამ მიწიერი ცხოვრების ბოლო დღემდა".[4]

იქონიეთ გამბედაობა, დაიცვათ ჭეშმარიტება

"[დაე] იქონიოთ გამბედაობა, მყარად დაიცვათ ჭეშმარიტება და პატიოსნება. რადგან დღევანდელი საზოგადოების კურსი შორს არის უფლის მიერ

მოცემული ფასეულობებისა და პრინციპებისგან, თქვენ მოგიწევთ იმის დაცვა, რისიც გწამთ. თუ თქვენი მოწმობის ფესვები ღრმად მიწაში არაა გამდგარი, თქვენ გაგიჭირდებთ , შეებრძოლოთ იმათ დაცინვას, ვინც თქვენს რწმენას ეჭვის ქვეშ აყენებს. როცა თქვენს მოწმობას სახარების, მხსნელისა და მამაზეციერის შესახებ კარგად აქვს გამდგარი ფესვი, ის ზეგავლენას მოახდენს ყველაფერზე, რასაც ცხოვრებაში აკეთებთ".[5]

ჩვენ გვჭირდება სულიერი და მორალური გამბედაობა.

"გზავნილი, რომელსაც დღეს გვთავაზობს ტელევიზია, ფილმების ან მედიის სხვა საშუალებებით, ხშირად საწინააღმდეგოა იმისა, რაც გვსურს, რომ ჩვენმა შვილებმა გულში ჩაიკრან და მაგრად ჩაეჭიდონ. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა არა მხოლოდ ვასწავლოთ მათ, იყვნენ სულიერად და დოქტრინალურად ჯანსაღნი, არამედ დავეხმაროთ მათ, დარჩნენ ამ გზაზე, ხელისშემშლელი ძალების მიუხედავად. ეს ჩვენი მხრიდან მოითხოვს დიდ დროსა და ძალისხმევას და სხვების დასახმარებლად ჩვენ თავად გვმართებს სულიერი და მორალური გამბედაობა – წინ აღვუდგეთ ბოროტებას, რომელსაც ყოველ მხარეს ვხედავთ".[6]

დაე, მუდამ ვიყოთ გამბედავები

"ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენი რწმენის გამოცდა თითქმის გარდაუვალია. ზოგჯერ აღმოვჩნდებით ისეთ სიტუაციაში, როცა ირგვლივ უამრავი ადამიანია, თუმცა ჩვენ ვართ უმცირესობაში ან საერთოდ მარტონიც კი. . . .

"დაე, მუდამ ვიყოთ მზად და გვქონდეს გამბედაობა, დავიცვათ ის, რისიც გვწამს და თუ ამ პროცესში მარტო მოგვიწევს ყოფნა, დაე გავაკეთოთ ეს გაბედულად, გამტკიცებულებმა იმის ცოდნით, რომ რეალობაში ჩვენ არასდროს არ ვართ მარტონი, როცა მამაზეციერთან ერთად ვდგავართ".[7]

შენიშვნები

1. თომას ს. მონსონი, "The Three Rs of Choice," Liahona, ნოემბერი 2010, 67, 68.
2. თომას ს. მონსონი, "The Call for Courage," *ლიახონა,* მაისი 2004, 55.
3. თომას ს. მონსონი, "Be Strong and of a Good Courage" *ლიახონა,* მაისი, 2014, 69.
4. თომას ს. მონსონი, "Believe, Obey, and Endure," *ლიახონა,* მაისი 2012, 129.
5. თომას ს. მონსონი, "May You Have Courage," *ლიახონა,* მაისი 2009, 126.
6. თომას ს. მონსონი „სამი მიზანი, რომელიც გაგიძღვება წინ," *Liahona,* ნოემბერი 2007, 118-19.
7. თომას ს. მონსონი „გაბედე მარტო დგომა," *Liahona,* ნოემბერი 2011, 60, 67.

ამ გზავნილის სწავლება

შეგიძლიათ სთხოვოთ მათ, ვისაც ასწავლით, მოიფიქრონ, სად დასჭირდებათ მომავალ კვირას გაბედული მოქმედება (სახლში, სკოლაში, სამსახურში ან ეკლესიაში). შესაძლოა, ისინი შიშის წინაშე აღმოჩნდნენ, გაუძლონ სირთულეს, დაიცვან საკუთარი მრწამსი ან გადაწყვიტონ, უფრო სრულად დაიცვან სახარების პრინციპი. მოიწვიეთ ისინი , გაგიზიარონ თავიანთი მოსაზრებები ან ჩაიწერონ ისინი.

ახალგაზრდები

იყო ვინმესთვის სარა

მაკენზი მილერის მიერ

მე ადრე მიჭირდა ჩემი მრწამსის დაყრდნობაზე გამეცა პასუხი თუნდაც ისეთ მართივ კითხვაზე, როგორიცაა: "რატომ არ სვამ ყავას"? წარსულში მე თავის გასამართლებლად ვამბობდი "ძალიან მწარეა" ან "გემო არ მომწონს".

რატომ მრცხვენოდა? რატომ მეშინოდა ასე ძალიან დამეცვა ის, რაც მწამდა? ახლა, უკან რომ ვიყურები, ზუსტად არ მესმის, რისი მეშინოდა. მაგრამ ზუსტად მახსოვს, როდის შევწყვიტე გამართლებების უკან ამოფარება.

ერთხელ, მაღალ კლასებში, მასწავლებელმა გამოაცხადა, რომ ტელევიზორში უნდა გვეყურებინა იმ ეპიზოდისთვის, რომლისთვისაც ვიცოდი, რომ არ უნდა მეყურებინა. იმ დროს, როცა სხვა სტუდენტები გახარებულნი იყვნენ, ჩემმა კლასელმა, სარამ, ხელი აწია და გარეთ გასვლის ნებართვა აიღო.

როცა მასწავლებელმა მიზეზი ჰკითხა, სარამ კონკრეტული პასუხი გასცა: "რადგან ვარ მორმონი და არ ვუყურებ მკრეხელურ გადაცემებს.

მისი გამბედაობა - ადგეს მთელი კლასის წინაშე, საოცარი იყო. მადლობა სარას, მეც ავდექი და შოუს დამთავრებამდე სუფთა სინდისით გარეთ ვიყავი.

მე სამარადისოდ შევიცვალე. იმის ნაცვლად, რომ საკითხისთვის თავი ამერიდებინა, მე ჩემი მრწამსის ახსნა დავიწყე. და ამის შედეგად, საკუთარ თავში თავდაჯერებული გავხდი და კიდევ უფრო მეტად მივიღე მონაწილეობა საეკლესიო და სასკოლო ღონისძებებში.

მე არასდროს არ მითქვამს სარასთვის რამდენს ნიშნავდა ჩემთვის მისი მაგალითი, მაგრამ ვცდილობ, არ ჩამოუვარდე მისი გამბედაობის მაგალითს. ახლა ვხვდები, რომ ღმერთის შესანიშნავი, წმინდა ეკლესიის წევრად ყოფნა საერთოდ არ არის სამარცხვინო. იმედია , მეც შევძლებ, საკუთარ მაგალითზე, ვინმესთვის გავხდე სარა .

ავტორი ცხოვრობს იუტაში, აშშ.

ბავშვები

გამბედაობა წმინდა წერილის ფურცლებზე

პრეზიდენტი მონსონი გვასწავლის, ვიქონიოთ გამბედაობა და დავიცვათ ჩვენი მრწამსი. წმინდა წერილში არის უამრავი მაგალითი ადამიანებისა, რომლებმაც გამბედაობა გამოიჩინეს. წაიკითხეთ ყოველი სახელის გასწვრივ მითითებული ნაწყვეტი წმინდა წერილიდან. როგორ გამოხატავენ ეს ადამიანები გამბედაობას და იცავენ იმას, რაც იციან, რომ არის მართალი? შეგიძლიათ დახატოთ ან დაწეროთ თქვენი პასუხები.

დანიელი (დანიელი 6:7, 10–23)

ესთერი (ესთერი 4:5–14; 5:1–8; 7:1–6)

ლამანიელი სამუელი (ჰელამანი 13:2-4; 16:1-7)

ჯოზეფ სმითი (ჯოზეფ სმითი, ისტორია 1:11-17)

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *First Presidency Message, April 2015.* Georgian. 12584 131

იესო ქრისტეს თვისებები: მზაკვრობის და პირფერობის გარეშე

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, თუ რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ ზრდის მაცხოვრის როლისა და ცხოვრების გაგება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org..

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის მისიის ზოგიერთ ასპექტს.

ამის გააზრება, რომ იესო ქრისტე არ არის არც მზაკვარი და არც პირფერი, დაგვეხმარება იმაში, რომ ერთგულად ვეცადოთ და მივყვეთ მის მაგალითს. უხუცესმა ჯოზეფ ბ. ვირთსლინმა (1917–2008) თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან თქვა: "იყო მზაკვარი ნიშნავს ატყუებდე ან გზას უბნევდე. . . . ადამიანი მზაკვრობის გარეშე არის უმანკო, მართალი ზრახვებით, სუფთა მოტივებით, რომლის ცხოვრებაც ასახავს უბრალო პრაქტიკას - ყოველ დღე იცხოვროს პატიოსნად. . . . მე მწამს, რომ წევრებისთვის უმანკოება შეიძლება იყოს უფრო საჭირო ეხლა, ვიდრე სხვა დროს, რადგან როგორც ჩანს, ბევრს ამქვეყნად არ ესმის ამ ღირსების მნიშვნელობა".[1]

მლიქვნელობის შესახებ პრეზიდენტმა დიტერ უხტდორფმა ასე თქვა: "არც ერთი ჩვენგანი არ არის ქრისტესთან იმდენად ახლოს, რამდენადაც ვიცით, რომ უნდა ვიყოთ". მაგრამ ჩვენ გულწრფელად გვსურს მოვერიოთ საკუთარ ნაკლს და ცოდვისკენ მიდრეკილებას. გულითა და სულით გვსურს, იესო ქრისტეს დახმარებით გავხდეთ იმაზე უკეთესნი, რაც ვართ".[2]

ჩვენ ვიცით, რომ "განვისჯებით ჩვენი ქმედებების, გულის ზრახვებისა და იმის მიხედვით, თუ როგორი ადამიანები გავხდით".[3] და მაინც, როცა ვცდილობთ, მოვინანიოთ, ვხდებით უფრო სუფთანი და "ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ"(მათე 5:8).

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

ფსალმუნები 32:2; იაკობი 3:17; 1 პეტრე 2:1–2, 22

წმინდა წერილიდან

პატარა ბავშვები მზაკვრობის გარეშე არიან . იესო ქრისტემ თქვა: "გამოუშვით ბავშვები და ნუ დაუშლით ჩემთან მოსვლას, ვინაიდან მაგათნაირებისაა ღვთის სასუფეველი. . . . და მოეხვია მათ [ბავშვებს], ხელები დაასხა და აკურთხა ისინი" (მარკოზი 19:14, 16).

ქრისტე, ჯვარცმის შემდეგ, ემსახურა ბავშვებს ამერიკის კონტინენტზე. მან უბრძანა, მოეყვანათ მასთან პატარა ბავშვები და დაესვათ ისინი მიწაზე მის ირგვლივ, იესო კი მათ შორის იდგა; . . .

". . . [და] იგი მოთქვამდა და ხალხმა ჩაიწერა ეს, მან კი აიყვანა მათი პატარები, რიგრიგობით, და დალოცა ისინი, და მათთვის ლოცუ ლობდა მამის მიმართ. . . .

და როცა უყურებდნენ ამას, მათი მზერა ცისკენ იყო მიპყრობილი და . . . მათ იხილეს ციდან გარდმომავალი ანგელოზები, თითქოს და შუაგულ ცეცხლში მყოფნი; და ისინი ეშვებოდნენ და წრე შემოარტყეს პატარებს, . . . და ანგელოზები ემსახურებოდნენ მათ" (3 ნეფი 17:12, 21, 24).

შენიშვნები

1. Joseph B. Wirthlin, "Without Guile," *Ensign,* მაისი 1988, 80, 81.
2. დიტერ ფ. უხთდორფი, "მოდით, შემოგვიერთდით," *ლიაჰონა,* 23 ნოემბერი 2013.
3. (*სახელმძღვანელო 2: ეკლესიის მართვა* (2010), 1.2.1

განიხილეთ შემდეგი

რა შეგვიძლიათ ვისწავლოთ პატარებისგან უშმაკობის შესახებ?? (იხ Guide to the Scriptures, "Guile.")

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *Visiting Teaching Message, April 2015.* Georgian. 12584 131